საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს ბატონ **შალვა პაპუაშვილს**

ასლი: საქართველოს პარლამენტის
ქვემოაღნიშნული კომიტეტის
თავმჯდომარეებს (ცნობისათვის):

- ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი;
- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი.

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] მცხ.: ქ. თბილისი, [redacted].
[redacted] ტელ.: [redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო შალვა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას **„საერთო სასამართლოების შესახებ“** საქართველოს ორგანული კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას. ამასთან, განცხადებაზე თანდართული დოკუმენტი შესაძლოა საინტერესო იყოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად საქართველოსათვის განსაზღვრული ერთ-ერთი რეკომენდაციის შესრულების უზრუნველყოფის კუთხითაც.

დანართი:

საკანონმდებლო წინადადება - სამართლიანი სასამართლოს ფუნქციონირებისათვის საჭირო დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების შექმნის შესახებ.

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის სპეციალური
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-13103/22
12-10-2022 ფურცელი 4

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

საკანონმდებლო წინადადება

სამართლიანი სასამართლოს ფუნქციონირებისათვის საჭირო დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების შექმნის შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** 2022 წლის 23 ივნისს ბრიუსელის სამიტზე ევროპის საბჭომ მთლიანად გაითვალისწინა ევროკომისიის 17 ივნისის რეკომენდაციები და მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად სათანადოდ უნდა შეასრულოს 12-პუნქტად მოცემული რეკომენდაციები, რომელთაგან ერთ-ერთი ეხება გამჭვირვალე და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღებას და მისი განხორციელების დაწყებას:

  - <u>„სასამართლო სისტემის სრული და ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა“.</u> მოსამართლეები და იუსტიციის უზენაესი საბჭოს წევრების გამჭვირვალედ დანიშვნა.

ამ პროცესში ასევე საინტერესოა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულად გამოყენების თაობაზე კანონპროექტის ინიცირების საკითხი, რომლის შედეგადაც მათი პროაქტიულად გამოყენებისა და შესაბამისად, კანონმდებლობაში საჭირო ცვლილებების მომზადება გაითვალისწინოს[1]. თუმცა, გარდა ზემოხსენებული გამოწვევებისა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო სისტემის რეფორმის საჭიროებისა და მოსამართლეთა შერჩევა/ დანიშვნის პროცესისადმი უკმაყოფილებას რიგი ოპოზიციური პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები ბოლო წლების განმავლობაში მუდმივად გამოხატავდნენ, რასაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში სავარაუდოა/ შესაძლოა ზეგავლენა მოეხდინა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ უნდობლობის გაჩენის/ გაზრდის მხრივ.

  - **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** მოსამართლეთა კვალიფიკაციისა და გადაწყვეტილებისადმი საქართველოს მოსახლეობის (შესაძლო) ნდობის ნაკლებობა.

---

[1] დამატებითი ინფრმაციისთვის იხილეთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კომენტარი ევროკავშირის რეკომენდაციების მე-11 პუნქტთან მიმართებით. ბმული: https://parliament.ge/media/news/shalva-papuashvili-adamianis-uflebata-evropuli-sasamartlos-gadatsqvetilebebis-proaktiulad-gamoqenebis-taobaze-kanonproektis-initsireba-1-el-sektembramde-mokhdeba

სასამართლომ რეალურად უნდა უზრუნველყოს კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების სათანადოდ დაცვა, რისთვისაც აუცილებელია, რომ მის მიმართ არსებობდეს მაღალი საზოგადოებრივი ნდობა[2]. მოქალაქეთა მოლოდინი პოტენციურ სამართლებრივ დავაზე კი დიდწილად ყალიბდება იმ გამოცდილებით, რომელიც კომპეტენტურობის ან/და კეთილსინდისიერების კუთხით სასამართლო თავისი გადაწყვეტილებებით წარმოაჩენს. შესაბამისად, მოცემულ პროცესში არა მხოლოდ მოსამართლეთა სათანადო შერჩევის პროცესზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, არამედ ზემოხსენებული კრიტერიუმებით საქმიანობის შესაფასებაზეც, რათა შემდგომში შემცირებულ იქნეს დამოუკიდებლობის სახელით, ზოგიერთი მოსამაართლის მხრიდან (შესაძლო) არასათანადო და არაკეთილსინდისიერი ქმედებების (გადაწყვეტილებები) რისკი. აღნიშნულის მაინდეტიფიცირებელ ინდიკატორად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი[3], ასევე, საქართველოსთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის შესაბამისად, ნებისმიერ საკითხთან მიმართებით შესასრულებლად სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისთვის (საქართველოში ძალაშია 20/05/1999-დან[4]).

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, საქართველოს ორგანული კანონით განისაზღვრება საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმის განხილვიდაგან ჩამოცილების ან/და თანამდებობიდან მისი გათავისუფლების საკითხი. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველთა[5] შორის ასევე მოცემულია:

---

[2] ბუდაპეშტში 1998 წლის 13-15 მაისს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ოცი ქვეყნის მოსამართლეთა ასოციაციების თავმჯდომარეებისა და წევრების შეხვედრის (მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები - სასამართლო რეფორმის შეფასება) აქტის მიხედვით: „მოსამართლეთა დამოუკიდებლობამ, სანაცვლოდ, უნდა უზრუნველყოს დისციპლინური <u>პასუხისმგებლობის სისტემა, რომელიც მოქალაქეებს მისცემს ეფექტური და კომპეტენტური სასამართლო ხელისუფლების არსებობის გარანტიას</u>".

[3] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის 75[5]-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, დისციპლუნური წარმოების დაწყების მიზეზთა შორის „ბ" ქვეპუნქტად ასევე მოცემულია - სხვა მოსამართლის, სასამართლოს ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ან აპარატის მოხელის <u>მოხსენებითი ბარათი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ</u>.

[4] საქართველომ კონვენციას ხელი მოაწერა 1999 წლის 27 აპრილს. კონვენცია ქვეყნისათვის ძალაში შევიდა მას შემდგომ, რაც საქართველოს პარლამენტმა მოახდინა მისი რატიფიცირება 1999 წლის 20 მაისს. სწორედ ამ დღის შემდგომ ჩადენილ დარღვევებთან მიმართებით ეკისრება საქართველოს სახელმწიფოს სამართლებრივი პასუხისმგებლობა

[5] უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველთა შორის საქართველოს ორგანულ კანონში ასევე გვხვდება პირადი განცხადება; სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის

- **დისციპლინური გადაცდომის ჩადენა;**
- **კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენა** „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
- მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

თუმცა, დისციპლინური გადაცდომისთვის გათვალისწინებული ერთ-ერთი დისციპლინური სახდელი – მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება არ გამოიყენება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიმართ, ვინაიდან მათი თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იმპიჩმენტის წესით და მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან მოსამართლის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში (მხედველობაშია მისაღები საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლი). გარდა დისციპლინური გადაცდომის[5] ჩადენისა, კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენა („საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად) არ შეიძლება გახდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი. აქვე, კანონის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს და რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის 2/3 უმრავლესობით. ამას გარდა, ყურადსაღებია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75[5]-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს დისციპლუნური წარმოების დაწყების მიზეზებს, რომელთა შორის მოცემულია როგორც გამოძიების ორგანოს შეტყობინება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში ან/და წინადადება, ნებისმიერი პირის საჩივარი ან განცხადება და სხვა მოსამართლის, სასამართლოს ან საქართველოს

მიმღებად ცნობა (თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული); საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა; 65 წლის ასაკის მიღწევა; გარდაცვალება; სასამართლოს ლიკვიდაცია, მოსამართლის თანამდებობის შემცირება; სხვა სასამართლოში დანიშვნა - არჩევა (არ შეიძლება გახდეს უვადოდ გამწესებულ მოსამართლეთა გათავისუფლების საფუძველი); სხვა დაწესებულებაში თანამდებობაზე არჩევა ან დანიშვნა და უფლებამოსილების ვადის გასვლა.

6 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 751-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დისციპლინურ გადაცდომად ითვლება ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, წესიერების, თანასწორობის, კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს, ასევე, მოსამართლის მიერ კორუფციული სამართალდარღვევის, ანუ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 52, მე-7, მე-8, მე-10, მე-11, მე-13, 134, 135 ან 204 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენა და მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას).

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ან აპარატის მოხელის მოხსენებითი ბარათი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ. თუმცა, აღნიშნულ მიზეზთა შორის ვერ ვხდებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს[7] გადაწყვეტილებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მუხლის მე-5 პუნქტისა[8] და საქართველოს კანონის ნორმატიული აქტების შესახებ მე-19 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებას (როგორადაც გვევლინება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია) საქართველოს სამართლებრივ სისტემაში კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონების შემდეგ გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა ორგანულ თუ მიმდინარე კანონებთან მიმართებით. ამიტომაც ხელისუფლების ორგანოებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ საერთაშორისო ხელშეკრულება და ხელშეკრულებით დადგენილი სტანდარტები იმ ურთიერთობათა რეგულირებისას, რომელსაც შიდა კანონმდებლობა ვერ, ან არაჯეროვნად არეგულირებს. სწორედ აღნიშნული საკითხის რეგულირებაში შეიძლება ითამაშოს გადამწყვეტი როლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილმა პრეცედენტულმა სამართალმა, რომლითაც განიმარტება კონვენციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების ქვეტექსტი და მოქმედების ფარგლები, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლები. ევროპული მხარის მიერ საქართველოსათვის ევროპის კავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად განსაზღვრული 11-ე რეკომენდაციის ფარგლებში საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში პროაქტიულად გამოყენების დანერგვის შემთხვევაში კი, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს მოსამართლის კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შეფასების პროცესში. სწორედ, რომ მოვალეობის უგულვებელყოფით ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა შეიძლება მივაკუთვნოთ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღება და გამოიკვეთება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სახით. მოცემული ფორმით საკითხის რეგულირება დამატებით შესაძლებლობებს შექმნის ქართულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობისა და კანონიერების განმტკიცებას, ხელს შეუწყობს სასამართლოსა და მოსამართლეების მიმართ ნდობის გაზრდას. დისციპლინური წარმოების დაწყების დამატებითი საფუძვლების განსასაზღვრავად, საჭიროება დგება „საერთო სასამართლოების შესახებ“

---

[7] ევროპის სასამართლო განიხილავს მხოლოდ იმ საქმეებს, რომლებიც ეხება კონვენციით ან მისი დამატებითი ოქმებით გარანტირებული უფლებების სავარაუდო დარღვევას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია წარმოადგენს ერთ-ერთ იმ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო აქტს, რომელიც იცავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და ამავე დროს განსაზღვრავს უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ეფექტურ მექანიზმს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სახით;

[8] საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.

საქართველოს კანონის 75[5]-ე მუხლის 1-ელ პუნქტს დაემატება შესაბამისი ქვეპუნქტი. მაგალითად ქვემოაღნიშნული ფორმით:

- მუხლი 75[5]. პუნქტი 1. „ე" ქვეპუნქტი: „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის დებულებათა დარღვევით მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღება, რაც დადგენილი იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით".

ამასთან, რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს, ორგანული კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტით, განსაზღვრულია თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის გარემოებები (კონსტიტუციის დარღვევა ან/და ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა), თუმცა, შესაძლებელია, რომ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ იმ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობა, სადაც იკვეთება მოსამართლის უკანონო მოქმედებები (სამოსამართლეო ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული მძიმე ან არასაპატიო ხასიათი) ან ფუნქციების განხორციელებით გამოწვეული ზიანის არანორმალური, განსაკუთრებული და სერიოზული ხასიათი. აღნიშნულით განხორციელდება ერთგვარი ხაზგასმა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება მნიშვნელობა ქართულ სასამართლო სისტემისათვის. შესაბამისად, დამატებული პუნქტი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

- მუხლი 42. პუნქტი 2[1]. „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის და გადაყენების უფლება[9], ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს პარლამენტის შესაბამისი შემადგენლობის არსებობის შემთხვევაში, წარმოიშვება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზეც,

---

[9] „საქართველოს საკონსტუტიციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21[3]-ე მუხლის შესაბამისად:

1. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს, ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ საქმესთან დაკავშირებულ იმ პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას ან გამოყენებას შეეხება, საკონსულტაციო დასკვნისათვის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართოს.

2. საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართვის მოთხოვნა უნდა დაასაბუთოს და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქმესთან დაკავშირებული სათანადო სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები უნდა წარუდგინოს.

3. საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართვის შესახებ მხარეებს აცნობებს.

<u>4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას **სავალდებულო ხასიათი არ აქვს.**</u>

სადაც უნდა იკვეთებოდეს მოსამართლის უკანონო (სამოსამართლეო ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული მძიმე ან არასაპატიო ხასიათი) მოქმედებები ან ფუნქციების განხორციელებით გამოწვეული ზიანის არანორმალური, განსაკუთრებული და სერიოზული ხასიათი“.

- **კანონპროექტის მიზანი**: კანონის პროექტის მიზანია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის აღძვრის ახალი საფუძვლის დანერგვით სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი მექანიზმის დახვეწა და სასამართლო სისტემის ეფექტიანობის ამაღლება. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა მნიშვნელობის ხაზგასმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვისას.

- **კანონის პროექტის ძირითადი არსი:** კანონპროექტის თანახმად, კანონის მე-42 მუხლის მე-2 პუნქტის შემდგომ დაემატება 2^1 პუნქტი, ხოლო ხოლო 75^5-ე მუხლის 1-ელ პუნქტს დაემატება „ე“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილება (მათ შორის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დებულებებთან შეუსაბამობით მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით) შეიძლება გახდეს დისციპლინური წარმოების ან უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვის დაწყების მიზეზი.

- **საკანონმდებლო წინადადების ავტორი:**

საქართველოს მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძე**, პირადი ნომერი [redacted]
მცხ.: [redacted] საფოსტო ინდექსი [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]

10/10/2022